

2019 წ.

საქართველოს 2021-2030 წლების
მიგრაციის სტრატეგიის
კონცეფცია

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

სარჩევი

კონცეფციის არსი.....	2
სტრატეგიის საერთო ჩარჩო	2
სიტუაციის ანალიზი	3
სტრატეგიის აგებულება.....	5
სტრატეგიული მიმართულებები	6
სტრატეგიის შემუშავება.....	7
სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასების სისტემა.....	8

კონცეფციის არსი

წინამდებარე კონცეფცია ზოგადი ხასიათის პოლიტიკის დოკუმენტია, რომელშიც განხილულია 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის შემუშავების საჭიროება. იგი მოიცავს პრობლემების იდენტიფიცირებას, ხედვას, პრინციპებსა და სექტორულ პრიორიტეტებს, რომელთა საფუძველზეც უნდა ჩამოყალიბდეს სტრატეგია. აქვე არის წარმოდგენილი ინფორმაცია სტრატეგიის განხორციელების მექანიზმებზე.

კონცეფციის მოქმედების ვადა გრძელდება მთავრობის მიერ (კონცეფციის საფუძველზე) ახალი სტრატეგიის დამტკიცებამდე.

სტრატეგიის საერთო ჩარჩო

კონცეფციის და მისგან მომდინარე სტრატეგიის არსი ეფუძნება „მიგრაციის და განვითარების“ პრინციპს, რომელიც თანამედროვე სამყაროში პროგრესულ მიდგომად მიიჩნევა და ემსახურება მიგრაციის უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე შემცირებას და დადებითი ეფექტის გაზრდას, რაც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ქვეყნის განვითარებისთვის. შესაბამისად, პრინციპი „მიგრაცია და განვითარება“ არ ატარებს აქსიომურ ხასიათს, არის ფართო გაგების და გულისხმობს ყველა იმ მიმართულების კოორდინირებულ, სწორ და პრაგმატულ ორკესტრირებას, რაც ქვეყნის განვითარებას უწყობს ხელს. ასეთი პრინციპი ითვალისწინებს მიგრაციის პოლიტიკის შემუშავების და მართვაში ჩართული ყველა უწყების და მათი დარგობრივი სფეროების ურთიერთდაკავშირებულ ქმედებას, ორიენტირებულს ქვეყნის განვითარებაზე. ერთი შეხედვით ერთმანეთისგან განსხვავებული მიმართულებების საერთო ჯაჭვში ჩაბმის გარეშე შეუძლებელი იქნება მთლიანობაში მიგრაციის სფეროს ეფექტური მართვა. მაგალითისთვის: საზღვრის ინტეგრირებულ მართვაზე, საკონსულო საქმიანობაზე, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე პასუხისმგებელი უწყებების კოორდინირებული ქმედება თანმიმდევრულად უზრუნველყოფს უსაფრთხო და ლეგალურ მიგრაციას, არალეგალური მიგრაციის პრევენციას, ქვეყნიდან ინტელექტის გადინების შეჩერებას, მისი შენარჩუნების ან/და მიღების წახალისებას, დროებით დასაქმებას, ცოდნის გადაცემას და დემოგრაფიული სიტუაციის კონტროლს. ამრიგად, „მიგრაცია და განვითარება“ მოიაზრებს უკლებლივ ყველა თემატური მიმართულების, საერთო ხედვის და მიზნის არსებობას და უწყებათაშორის კოორდინირებულ თანამშრომლობას ამ მიზნების მისაღწევად.

შესაბამისად, „მიგრაციისა და განვითარების“ პრინციპის გამოყენება სტრატეგიის შექმნისა და განხორციელების პროცესში გულისხმობს:

1. სტრატეგიის შემუშავების ეტაპზე ისეთი მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებას, რომელთა შესრულება პირდაპირ და დადებითად აისახება ქვეყნის განვითარებაზე;
2. სტრატეგიის სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში მიზნობრივი პროგრამების და კონკრეტული ხელშემწყობი მექანიზმების გათვალისწინებას;

3. სტრატეგიის შეფასებისთვის ისეთი ინდიკატორების შემუშავებას, რომლებიც ნათელს და გაზომვადს გახდის კონკრეტული მიზნების/ამოცანების შედეგების გავლენას ქვეყნის განვითარებაზე.

სიტუაციის ანალიზი

საქართველოში მიგრაციის მართვის სისტემის განვითარება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. დამოუკიდებლობის აღდგენიდან რამდენიმე წელიწადში (1995 წ.) განვითარდა საბაზისო სტრუქტურები და ჩამოყალიბდა ის თავდაპირველი კონცეპტუალური ხედვა (1997 წ.), რომელსაც უნდა განესაზღვრა საერთო სისტემის შემდგომი პროგრესი. ახალი ბიძგი ამ მიმართულებას ევროკავშირთან დაახლოების პროცესის დაჩქარებამ მისცა.¹ აღნიშნულ პერიოდში მართვის ჩამოყალიბების, გაუმჯობესების და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მიგრაციის 2013-2015 და 2016-2020 წლების სტრატეგიები შემუშავდა. ასევე, ჩამოყალიბდა (2010 წ.) მართვის კორპორაციული მოწყობის ორგანო – მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია (მსსკ/კომისია), რომელმაც სფეროსთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი აქტორი გააერთიანა და ქმედება საერთო სამთავრობო მიდგომაზე დააფუძნა. 2016-2020 წლების სტრატეგიაში გათვალისწინებულია დაგროვილი გამოცდილება და მორგებულია იმ ახალ რეალობას, რომელიც 2015 წლის მდგომარეობით ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებამ და ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმამ შექმნა. მოქმედი სტრატეგიის განხორციელების პერიოდში როგორც ადგილობრივად, ისე რეგიონულად და გლობალურად, მიგრაციის სფეროში მომხდარი ძვრების და მასთან დაკავშირებული ცვლილებების კვალდაკვალ, წარმოიშვა ახალი გამოწვევები. ამიტომაც მიგრაციის მომავალი სტრატეგიის მიზანია, მოერგოს ახალ რეალობას და გააგრძელოს თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავება.

მოქმედი სტრატეგია ითვალისწინებს ე. წ. „მიგრაციის და განვითარების პრინციპს“, თუმცა, მასში ეს თემა, სხვათა მსგავსად, რიგით თავად არის გამოყოფილი (რომელიც სრულად ვერ ასახავს ამ პრინციპზე დაფუძნებულ განვითარების პოტენციალს) და არა იმ ჩარჩოდ, რომელიც, პირიქით, ყველა სხვას მოიცავს. ამის მიზეზი კი მისი, როგორც ნოვაციის არსის, განმახორციელებელი უწყებებისათვის უკეთ გაცნობა იყო. გარკვეულწილად, ეს მოხერხდა კიდევ და, ამგვარად, მომზადდა პლატფორმა, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია მიგრაციის და განვითარების ჩარჩოში ყველა მისი შემადგენელი კომპონენტის თავმოყრა და ამ პრიზმაში გავლით ახალი სტრატეგიული მიზნების და ამოცანების ფორმირება.

ამ თვალსაზრისით, საქართველოში შეიქმნა ხელსაყრელი გარემო და მეტი შესაძლებლობა ასეთ პრინციპზე მორგებული პოლიტიკის გატარებისათვის. 2010 წლიდან დღემდე ჩამოყალიბდა, განვითარდა და სტრუქტურულად გაფართოვდა მიგრაციასთან

¹ევროპული სამეზობლო პოლიტიკა 2003 წ.; აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა და პარტნიორობა მობილობისთვის, 2009 წ.; ვიზა-ფასილიტაციის და რეადმისიის შეთანხმებები 2010 წ.; ვიზა-დიალოგი 2012 წ.; ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა 2013-15 წწ.; ასოცირების შეთანხმება 2014 წ.

დაკავშირებული შესაბამისი დარგობრივი უწყებები, რამაც ძირითადი თემატური მიმართულებები გააერთიანა და კავშირების მიხედვით დააჯგუფა. თითოეული მიმართულების ერთმანეთთან და ყველა მათგანის საერთო პოლიტიკასთან კავშირს უზრუნველყოფს პლატფორმა, წარმოდგენილი კომისიის მიერ, რომელიც კორპორაციის მოწყობისა და თანაზიარი ვალდებულებების პრინციპს ეფუძნება. ასევე, ევროკავშირის სახით არსებობს ის ძირითადი ჰაბი, რასთანაც შეერთებულია ეს სისტემა და საიდანაც იღებს სამოქმედო ორიენტირებს შემდგომი განვითარებისა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით.

საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი აჩვენებს, რომ ბოლო წლებში ქვეყნიდან ემიგრაცია მზარდია. ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ გაიზარდა ამ ქვეყნებში გამოვლენილი არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა და თავშესაფრის მოთხოვნის ფაქტები, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლეგალურად მყოფ საქართველოს მოქალაქე მიგრანტთა რაოდენობაც იზრდება და არამართ ევროკავშირის ქვეყნებში, რაც, ასევე, ემიგრაციის ზრდაზე მიუთითებს. მსსკ-ის ფარგლებში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოსახლეობის გარკვეული ნაწილი კვლავ გეგმავს ემიგრაციას. ემიგრაციის ზრდასთან ერთად, მატულობს საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობაც, რაც, იმავე კვლევების მიხედვით, ემიგრანტთა ოჯახების დიდი ნაწილისთვის ერთადერთ საარსებო წყაროს წარმოადგენს. ეს ყველაფერი ერთად კი, მიუთითებს იმაზე, რომ ემიგრაციული ნაკადების შემცირება მომდევნო წლებში ნაკლებად სავარაუდოა და ამ ნაკადების უსაფრთხო და ლეგალურ ჩარჩოებში მოქცევა და მათი პოტენციალის ქვეყნის განვითარებაზე მომართვა მომავალში უფრო მნიშვნელოვანი გახდება.

საყურადღებოა, რომ გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტის (UN DESA) 2019 წლის ოფიციალური შეფასებებით და პროგნოზებით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2030 წლისთვის, დაახლოებით, 150 000-ით შემცირდება², რაც, სავარაუდოდ, სხვა ფაქტორებთან ერთად, კვლავ მაღალი ემიგრაციით იქნება გამოწვეული³.

გაზრდილ ემიგრაციასთან ერთად, ბოლო წლებში შესამჩნევი გახდა ემიგრანტთა დაბრუნების მზარდი ტენდენციაც და მოსალოდნელია, რომ ზრდის ეს დინამიკა მომავალ წლებშიც შენარჩუნდება. აღსანიშნავია, რომ მიგრაციის პროფილის ეს მონაცემები, ძირითადად, არალეგალურად მყოფ მიგრანტთა დაბრუნების ტენდენციას ასახავს და არა დაბრუნების სრულ სურათს (რომელიც შეიძლება უფრო დიდი იყოს, რადგან ლეგალურად მყოფ მიგრანტთა დაბრუნების აღრიცხვა და შესაბამისი სტატისტიკის წარმოება ამჟამად ვერ ხდება), რაც ამ კუთხით მონაცემების შეგროვების და სტატისტიკის გაუმჯობესების საჭიროებაზე მიუთითებს. დაბრუნების პარალელურად, ბოლო წლებში იზრდება და, სავარაუდოდ, მომავალშიც მოიმატებს სარეინტეგრაციო სერვისებზე მოთხოვნა, რაც გამოიწვევს

² <https://population.un.org/wpp/>

³ https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/3.%20Population%20Dynamics_ENGL%20_print_F.pdf

სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამის ბიუჯეტის გაზრდას და, ამასთან, საჭირო იქნება მისი გაფართოება დაბრუნებულთა ყველა ჯგუფის დასაფარად.

მიგრაციის პროფილის მონაცემების მიხედვით, საქართველოში ბოლო წლებში გაიზარდა იმიგრაციაც. არსებული ლიბერალური საიმიგრაციო პოლიტიკის, უცხოელთათვის მიმზიდველი საგანმანათლებლო სივრცის, ბიზნესის წარმოების სიმარტივის, გაზრდილი საერთაშორისო მობილობის და სხვა ქვეყნებში არსებული შედარებით მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის გამო მოსალოდნელია, რომ ეს ტენდენცია შემდეგ წლებშიც შენარჩუნდება. იქიდან გამომდინარე, რომ იმიგრანტთა ძირითადი ჯგუფები საქართველოში სასწავლებლად, სამუშაოდ ან ბიზნესის საწარმოებლად ჩამოდიან, მათი რაოდენობის ზრდასთან ერთად, იზრდება მათ მიერ შეტანილი წვლილი როგორც სახელმწიფო ბიუჯეტში, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებებისა თუ ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობაში. თუმცა, იმიგრანტთა ამ ჯგუფების პოტენციური ქვეყნის განვითარებისთვის გაცილებით დიდია და, ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, მის ასათვისებლად და სამართავად უმნიშვნელოვანესია პრაგმატული საინტეგრაციო პოლიტიკის არსებობა და შესაბამისი პროგრამების დანერგვა.

სტრატეგიის აგებულება

არსებული გამოცდილების და ახალი სტრატეგიის გრძელვადიანი ბუნების გათვალისწინებით, სასურველია, მისი ამოცანები იყოს უფრო ზოგადი, ხოლო დეტალები განისაზღვროს სამოქმედო გეგმის აქტივობების დონეზე, რაც, ერთი მხრივ, გამორიცხავს ამოცანების შესრულებისას მათ დუბლირებას და, მეორე მხრივ, მარტივად მიუსადაგებს აქტივობებს შესაბამის ამოცანებს და უზრუნველყოფს მყარ, ლოგიკურ ურთიერთკავშირს. ამასვე ხელი უნდა შეუწყოს მიგრაციის მართვის სფეროში ან/და ამ სფეროსთან დაკავშირებული უწყებების დარგობრივი სტრატეგიების არსებობამ, მათმა გამართულმა საქმიანობამ და კავშირმა სექტორულ სტრატეგიასთან. ეს, თავის მხრივ, განაგრძობს არეალს და გააძლიერებს იმპლემენტაციის პროცესს. ყოველივე ამის ხარჯზე და გამოყენებით ახალი სტრატეგიის სამოქმედო ვადა გაიზრდება 10 წლამდე, განზოგადდება ძირითადი თემები და მთავარი აქცენტი იმპლემენტაციის მექანიზმზე (სამოქმედო გეგმა) გაკეთდება.

როგორც წესი, ამგვარი გრძელვადიანი სტრატეგიები უფრო კონცეპტუალური ხასიათის დოკუმენტებია. მათი მიზანია სექტორში გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვის და „გლობალური“ მიზნების ჩამოყალიბება. ასეთი დოკუმენტები უფრო ლაკონიურია, რადგან ბევრი განმახორციელებელი ჰყავს და თითოეულმა ინსტიტუტმა საერთო ჩარჩოს ფარგლებში თავად უნდა განსაზღვროს, როგორ და რა ფორმით ასახავს სტრატეგიის პრინციპებსა და ამოცანებს თავის საქმიანობაში. შესაბამისად, ასეთ სტრატეგიებში შედარებით ზოგადი ხასიათის ტექსტის შენარჩუნებას თავისი მიზნები აქვს. ეს, ერთი მხრივ, ჩამოყალიბებს

ქვეყნის გრძელვადიან ხედვას მიგრაციის მართვის სფეროში, ხოლო მეორე მხრივ, უფრო მეტ მოთხოვნას წაუყენებს განხორციელების პროცესს, მის მექანიზმსა და მასში ჩართულ უწყებებს, ამასთან მაკოორდინირებელ ორგანოს აარიდებს დოკუმენტში ხშირ ცვლილებებს.

მიდგომის ასეთ სისტემას განაპირობებს ევროკავშირთან დაახლოების პროცესის ის მომენტიც, რომლის მიხედვითაც, ქვეყანამ უნდა შექმნას მართვის იმგვარი მოქნილი და ძლიერი მექანიზმები, რომლებიც, ერთი მხრივ, გრძელვადიან პერსპექტივაში განსაზღვრავს განსახორციელებელ საქმიანობას, ხოლო მეორე მხრივ, რეალურ დროში ავტონომიურ რეჟიმში წარმართავს საქმიანობას და, ამავე დროს, შეინარჩუნებს მაღალ ხარისხსა და დინამიკას.

სტრატეგიული მიმართულებები

ძირითადი მიმართულებების მიღმა მიგრაციის მომიჯნავე სფეროებში არსებული სტრატეგიული დოკუმენტები, კონცეფციები და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებები, ეროვნულ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ჩარჩოსთან ერთად, ახალი სტრატეგიის შემუშავებისთვის საჭირო კონტექსტს ქმნის.

სტრატეგიული მიზნები („ქოლგა მიმართულებები“) განისაზღვრება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული განზომილებით – ადგილობრივით, რეგიონულით და გლობალურით. ადგილობრივი პრიორიტეტები, როგორც წესი, ეფუძნება ქვეყნის ეროვნულ, ინდივიდუალურ და პროფილურ ინტერესებს, თუმცა, შესაძლოა, რეგიონული (მაგ., ევროპა/ევროკავშირი ასოცირების შეთანხმებითა და ვიზალიბერალიზაციის პროცესის გრძელვადიანი ამოცანებით) ან/და მისი გავლით გლობალური (მაგ., გაერო – მდგრადი განვითარების მიზნებით) სფეროებიდანაც მომდინარეობდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს გაერო-ს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგით გათვალისწინებული 10.7 ამოცანა⁴, რომელიც ნაციონალიზებულია საქართველოს მთავრობის მიერ და მისი შესრულების ძირითად ინდიკატორად განსაზღვრულია 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმების მეტწილად განხორციელება. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები შინაარსობრივად თავსებადი იყოს 10.7 ამოცანის გლობალურ დონეზე შეფასების საერთაშორისო ინდიკატორებთან და მის საზომ ინსტრუმენტებთან,⁵ რათა განხორციელების პროცესი სინქრონულად წარიმართოს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე.

ამგვარად, ახალ სტრატეგიაში „მიგრაციის და განვითარების“ საერთო თაღქვეშ თავს მოიყრის ყველა ის მიმართულება, რაც სამივე განზომილებას აქვს, თუმცა, ეროვნული საჭიროებების, ინტერესებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

⁴ „ადამიანთა მოწესრიგებული, უსაფრთხო, ლეგალური და პასუხისმგებლიანი მიგრაციის და მობილობის ხელშეწყობა, მათ შორის, კარგად დაგეგმილი და მართული მიგრაციის პოლიტიკის განხორციელების მეშვეობით“

⁵ <https://unstats.un.org/sdgs/metadata/?Text=&Goal=10&Target=10.7>

აქტუალობიდან გამომდინარე, ახალი სტრატეგიის მიზნებიც (ლეგალური მიგრაციის წახალისება და არალეგალურის პრევენცია, საერთაშორისო დაცვა, ინტეგრაცია-რეინტეგრაცია, მართვის სისტემის გაუმჯობესება, ცნობიერების ამაღლება და საერთაშორისო თანამშრომლობა) არ იქნება განსხვავებული თავისი წინამორბედისგან, რომლის თემატური მიმართულებები სწორედ ზემოხსენებული სამი და ამჟამად აქტუალური განზომილებიდან იქნა აღებული. თუმცა, ცვლილებას დაექვემდებარება იმპლემენტაციის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

აღნიშნული პრინციპებით შექმნილი და ამოქმედებული სტრატეგიის უმთავრესი მიზანი იქნება – განსაზღვროს სფეროში ქვეყნის კონკრეტული ინტერესები, მოარგოს მათ „მიგრაციის და განვითარების“ პოლიტიკა და წარმატებულ საერთაშორისო პრაქტიკასთან კორელაციის გზით განავითაროს საკუთარი სისტემა, რათა უპასუხოს თანამედროვე საზოგადოებრიობის წინაშე მდგარ გამოწვევებს.

სტრატეგიის შემუშავება

სტრატეგიის მომზადების გამართული სამუშაო პროცესი კარგი სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. სტრატეგია არ არის „ჭეშმარიტი“ ცნებების და სხვა ქვეყნების მიერ გამოცდილი „სწორი“ პოლიტიკის კრებული. იგი პრაქტიკული დოკუმენტია, რომელიც, პირველ რიგში, არსებული რესურსებიდან და რეალობიდან გამომდინარე, განსაზღვრავს სამომავლო მიზნებს და მხოლოდ ყველა დაინტერესებული მხარის თანამონაწილეობით და პასუხისმგებლობის განაწილებით შეიძლება შეიქმნას. როგორც „სწორიც“ არ უნდა იყოს სტრატეგიაში მოყვანილი ანალიზი და ამოცანები, თუ იგი მისი განმახორციელებლების მიერ გააზრებული და გათავისებული არ არის, წარმოუდგენელია, სტრატეგიულმა დოკუმენტმა დასახულ მიზანს მიაღწიოს.

სტრატეგიის შემუშავებას კოორდინაციას გაუწევს კომისიის ფარგლებში მოქმედი მიგრაციის ლაბორატორია, რომელშიც გაერთიანებულია მსსკ-ის წევრი ყველა უწყება და რომელსაც აქვს ღია პლატფორმა, რათა საქმეში ჩართოს სხვა სახელმწიფო უწყებები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, აკადემია, დამოუკიდებელი მკვლევრები/ექსპერტები და ა.შ. მაშასადამე, ყველა, ვისაც შეუძლია დოკუმენტის შემუშავებაში თემატური ექსპერტიზის გაწევა.

სტრატეგიაზე მუშაობის დროს ჯგუფი, რომელიც აუცილებლად უნდა დაკომპლექტდეს სფეროს კარგად მცოდნე და ხანგრძლივი გამოცდილების მქონე პირთაგან, დაეყრდნობა რამდენიმე ძირითად წყაროს: მიმდინარე სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმების შეფასებების შედეგებს და მიზნობრივი თემატური კვლევების კონკრეტულ რეკომენდაციებს, სადაც ასახულია ნაკლოვანებები, მათი გამოსწორების გზები, გამოწვევები, შესაძლებლობები და რისკები.

სტრატეგიის შემუშავებისას მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული როგორც „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის და შეფასების“ ახალი წესის მოთხოვნები,⁶ ისე საზოგადოდ მიღებული სტრატეგიული დაგეგმვის სტანდარტები და წინამორბედი სტრატეგიის შემუშავება-განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილება.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასების სისტემა

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. სამოქმედო გეგმების განხორციელების რეგულარული მონიტორინგი;
2. სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური შეფასება მონიტორინგის ანგარიშებზე დაყრდნობით;
3. შუალედური (2026 წ.) და საბოლოო (2031 წ.) შეფასება სტრატეგიის შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით.

სტრატეგიასთან ერთად, შემუშავდება და დამტკიცდება მისი მიზნებისა და ამოცანების შედეგების საზომი ინდიკატორები.

⁶ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ მომზადებული დოკუმენტების პაკეტი ამჟამად დამტკიცების პროცესშია.